

საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირისა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლელო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი

დღე მხოლოდ 15 მცერი და 20 სანტიმეტრია.

კალათბურთი

საქართველოს კალათბურთულ გოგონათა გუნდი შეხვდა ყველაზე ძლიერ მეტოქეს ლატვიის გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 42:38.

საქართველოს კალათბურთელებმა უკანასკნელი შეხვედრა ქვეყნულში ყაზახეთის გუნდთან ჩაატარეს და მოგეს — 78:52.




ზედა სურათზე აღბეჭდილია მ. თურთაძე, რომელსაც წინასწარ შეხვედრებში ყველაზე კარგი შედეგი აქვს ბირთვის კვრაში.

ქვევით — სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი.

ფოტო ფ. რაჭაბლისა.



სპარტაკიადის ალამი აღმართულია



სპარტაკიადის პრიზიორების მიღწევებს:

მკლენობა

საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

17 წლისათვის

დღეს რუმინელი ხალხის დიდი უმრავლესობა 17 წლის წინათ საბჭოთა რუმინეთში დადიან...

17 წლის განმავლობაში მოძველებული ხალხმა გმირული შრომით დიდ წარმატებებს მიაღწია...

კიდებლობისათვის საბრძოლველად, ხოლო საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ გერმანიელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში რუმინეთს დაუსხა ახალი ცხოვრების მშენებლობის პერსპექტივები.

ჩვენი და რუმინელი ხალხის ურდევითი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია იყო ამ ქვეყნის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ამსწინადელი ვიზიტი.

დელაქალაქშიც იყვნენ, სადაც მათ სინარულითა და დიდი ზემოთ შეხვედნენ.

17 წლის განმავლობაში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდად განვითარდა ფიზკულტურა და სპორტი.

ახლა გარდა, ამან საშუალება მისცა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აღეზარდა მაღალი კლასის სპორტსმენები.

მსოფლიოში არ არის არც ერთი სპორტის მოყვარული, რომელიც არ იცნობდეს შესანიშნავ მძლეოსან ქალს ი. ბალაშს.

პრიზიორების სახელი მოიხვეჭეს ამ ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდმა, ნიჩოსანმა ლ. როტმანმა.

დიდი მეგობრობა აქვთ რუმინელ და ქართველ სპორტსმენებს. როგორც ჩვენი რესპუბლიკის დელაქალაქში, ისე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც გაიმართა ქართველ მოქალაქეთა, კალათბურთელთა, წყალბურთელთა ახანაგური საერთაშორისო შეხვედრები.

საქართველოს ფიზკულტურელიები, სპორტსმენები მზურვალედ მიესალმებიან რუმინელ კოლეგებს და ულოცავენ მათ სახალხო რესპუბლიკის 17 წლისთავს.

გონის ხელისუფალთა კარნახით

რაც დრო გადის, მით უფრო მრავალიც ხდება საერთაშორისო შეხვედრები. კალენდარული თუ ამხანაგური მატჩები საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს ხუთივე კონტინენტს წარმომადგენლები, რომლებსაც ნამდვილი სპორტული ბრძოლით დიდი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა ფერისა და რწმენის სპორტსმენის დამეგობრების საქმეში.

მაგრამ ეს კეთილშობილური საქმე არ სიამოვნებთ ზოგიერთა ქვეყნის სპორტის მესვეურებს და ისინი ყოველგვარი ბინძური საქმიანობით ცდილობენ ხელი შეუშალონ ათეული წლების განმავლობაში დაკანონებულ ტრადიციას.

ამ საქმეში „მსოფლიო რეკორდსმენის“ სახელი დაიშვილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტულმა კავშირმა —

„შპორტბუნდმა“. დასავლეთ გერმანიის ეს სპორტული ორგანიზაცია, რომელიც ახლოს დგას რესპუბლიკის მმართველ წრებთან, აშკარად გამოხატავს მათ მიზნებს და მისწრაფებებს. ჭრ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ პრესაში აღინიშნა დასავლეთგერმანიული სპორტის საქმოსნების მიერ სპორტის ისტორიაში ჭრ არსებული აქტი, როცა მათ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ველოსიპედისტებს.

გავიდა ხანი და „შპორტბუნდმა“ კვლავ ალაპარაკა მსოფლიო ახალი სენსაციური ამბით: „დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირი კრძალავს გერ-ს და გერ-ს სპორტსმენთა ყოველგვარ შეხვედრას. გერ-ს არც ერთ სპორტსმენს არ შეუძლია ჩავიდეს გერ-ში და პირიქით, ყველა საერთაშორისო

შეჯიბრება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩათვლთ, რომლებიც გერ-სა და გერ-ს ტერიტორიაზე განწარხული, ბოიკოტირებულ იქნება.

ამ პროვოკაციულმა გადაწყვეტილებამ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ამის შესახებ ბევრს წერენ სხვადასხვა ქვეყნის გაზეთების მიმომხილველები, რომლებიც ერთხმად თვლიან, რომ ეს ფაქტი კარგახანია მზადდებოდა, მას საფუძვლად დაედო დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ფონ ბრენტანოს „ყოველსმთქმელი“ სიტყვები — „დროა ბოლო მოედოს საერთო გერმანულ სპორტს“. მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი მკვეხარა სიტყვები უკან წაიღო, მას შემდეგ, რაც გერ-ს პროგრესული სპორტული საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შეიქმ-


ნა გერმანიის ერთიანი ოლიმპიური გუნდი, რომლის წევრები წარმატებით გამოვიდნენ რომის ოლიმპიურ თამაშებში. გ. ფონ ბრენტანოს უკვე მივიწყებული სიტყვები კვლავ გაიხსენეს.

გერ-ს გაზეთის „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტმა კითხვით მიმართა ოლიმპიური კომიტეტის კანცლერს ო. მაიერს გამოთქვა თავისი აზრი „შპორტბუნდის“ გადაწყვეტილებების შესახებ. კანცლერმა კორესპონდენტს ასეთი პასუხი გასცა: ჩვენ ყოველ ღონის ვხმარობთ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიული სპორტსმენები გაერთიანდნენ ერთ კოლექტივად, რომელიც წარმატებით გამოვა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს მთელი ძალით წინ აღვუდგეთ „შპორტბუნდის“ მოღვაწეთა გადაწყვეტილებას, რომელიც ბონიდანაა ნაკარნახევი.



ესპანეთის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „რეალი“ (მადრიდი) ტურნეს ატარებს სამხრეთ ამერიკაში. ესპანელები სან-ხოსეში შეხვედნენ კოსტა-რიკის ნაკრებ გუნდს „რეალმა“ მიადწია გამარჯვება ანგარიშით 4:2.

უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატში III ტურის შემდეგ 5-5 ქულით ლიდერობენ შტ და რენცვაროში, მომდევნო ადგილებზე არიან „ტატაბანია“, „ონვედი“ და „დოროვა“.



თ ანამედროში კალათბურთში სიმალლის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემათაგანია. იყო დრო, როდესაც მას არ ჰქონდა ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენების გასვლამ საერთაშორისო ასპარეზზე და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდის წარმატებებმა დიდ ტურნირებში, სიმალლის პრობლემა დღის წესრიგში დააყენა მთელი სივრცე-სივრცით.

დღეს საბჭოთა კავშირი წამყვანი ქვეყანაა მაღალი ტანის კალათბურთელებითაც. ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კალათბურთის „სიმალლის რეკორდსმენებს“. წარსულში მეტყვე იანის კრუმინში, დღეს წამყვანი ფიგურაა ჩვენს ნაკრებში. რა თქმა უნდა, მწელია მის წინააღმდეგ თამაში და განსაკუთრებით ისეთი კალათბურთელისათვის, როგორიცაა დინამოელი ინწიკრელი. რაც

არ უნდა იყოს პროპორციას მაინც თავისი გააქვს.

რამდენიმე წლის წინ უზბეკეთის ქალთა გუნდში მოვიდა ახალგაზრდა რაისა სალიმოვა. მაშინ იგი მოედანზე გადაადგილებასაც კი ძლივს ახერხებდა. რაისამ ისწავლა თამაში, ამოძრავდა და თავისი გუნდის წამყვანი კალათბურთელი გახდა. სიმალლის უპრატესობა განსაკუთრებით საგრძნობია ქალთა გუნდებში. აბა წარმოიდგინეთ, რო-

გორ უნდა ებრძოლოს სალიმოვას ჩვეულებრივი ტანის კალათბურთელი, თუნდაც ის, რომელიც ამ სურათზე სალიმოვას გვერდით მდის. სალიმოვა საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატია და ექვს გარეშეა, რომ სულ მალე დაიკავებს იგი ადგილს უძლიერესთა ხუთეულში.

ფოტო ვ. ტუტოვისა და მ. ზარგარიანისა

ასე გადაწყვიტა ფედაკაცია

XXIX საქადრაკო ჩემპიონატში, რომელიც 21 ნოემბრიდან ბაქოში გაიმართება, პერსონალურად მიწვეული არიან მხოლოდ მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილენი გროსმაისტერებია მ. ბოტეინიკი, მ. ტალი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტ. პეტროსიანი. გროსმაისტერებს კორჩინოს, ველერს, სმისლოვსა და ოსტატ შტიენს, (რომლებიც ოქტომბერში ჩაებმებიან საზონათშორისო ტურნირში) უნდა მიეღოთ მონაწილეობა მოსკოვის, ლენინგრადის, უარა-

ნის პირველობებში, ხოლო კერეს ერთ-ერთ ნახევარფინალში. რაკი მათ ამ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე თავი შეიკავეს, მაშასადამე, არ დაიშვებიან ფინალში. ასეთია საბჭოთა კავშირის საქადრაკო ფედერაციის ბოლო დადგენილება. ფინალის მონაწილენი, როგორც ცნობილია, უნდა გამოავლინოს ორმა ნახევარფინალმა (ბათუმი, ნოვგოროდი, ორ-ორი გამარჯვებული თვითული ტურნირიდან) და მოსკოვის (ოთხი გამარჯვებული), ლენინგრადის, რსფსრ-

(სამსამი გამარჯვებული) და უკრაინის (ორი გამარჯვებული) პირველობებმა. უკრაინელ მოქალაქეთა პირველობიდან, რომელიც უკვე დამთავრდა, ფინალში გავიდნენ ოსტატები ი. კოცი (სტალინი) და ვ. შინაოვსკი (კიევი). მოსკოვში, ომსკსა და ნოვგოროდში ბრძოლა გრძელდება. ლენინგრადის პირველობა დაიწყება ამ დღეებში.

მოსკოველმა მოქალაქეებმა სტარტი აიღეს, მათ გაითამაშეს მხოლოდ პირველი ტური, დასასრულს

უახლოვდება რსფსრ-ს პირველობა. ათი ტურის შემდეგ წინ არიან გროსმაისტერი პოლუგავესკი, ოსტატები ლეინი (7 ქულა თვითულს), ანტონინი, შესტოპეროვი (6,5 ქულა თვითულს), ილივიკი, იუდოვინი (6 ქულა თვითულს). ნოვგოროდის ნახევარფინალში რვა ტურის შემდეგ ლიდერობს გროსმაისტერი ხოლოვი (6,5 ქულა და ერთი სუეტინთან წახაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია).

რედაქტორი ი. უზულავა.

28
აგვისტო

29
აგვისტო

30
აგვისტო

31
აგვისტო

სსრ კავშირის პირველობა „დინამო“ (თბილისი) — „შალვირისი“ (კაუნასი)

სსრ კავშირის პირველობა „დინამო“ (თბილისი) — „ც ს პ ა“

შეხვედრების დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე